საქართველოს მთავრობის

დადგენილება №595

2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და „TEST“ ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 აპრილის №278 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/04/2014, 310150000.10.003.017898) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) „ავტომობილის შიდა ტრანზიტის ნიმუში“ (დანართი №20);

ფ) „ავტომობილის ტრანზიტული ნომრის ნიმუში“ (დანართი №20^1);“;

ბ) „ფ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ფ^1$“ და „$ფ^2$“ ქვეპუნქტები:

„$ფ^1$) „მოტოციკლის შიდა ტრანზიტის ნიმუში“ (დანართი №21);

$ფ^2$) „მოტოციკლის ტრანზიტული ნომრის ნიმუში“ (დანართი №21^1);“.

2. დადგენილებით დამტკიცებული:

ა) დანართი №20 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) დანართ №20-ის შემდეგ დაემატოს №20^1 დანართი თანდართული რედაქციით;

გ) დანართი №21 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

დ) დანართ №21-ის შემდეგ დაემატოს №21^1 დანართი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული ნიმუშების სატრანსპორტო საშუალებათა შიდა ტრანზიტის დამზადებისათვის/გაცემისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების 2026 წლის 1 მარტამდე განხორციელება.

მუხლი 3

2026 წლის 1 მარტამდე გაცემულ და იურიდიული ძალის მქონე ძველი ნიმუშის შიდა ტრანზიტს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მისი მოქმედების ვადით.

მუხლი 4

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**